ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2148657

ნომერი: AR1335448

თარიღი : 17.08.2015

გაცემის თარიღი : 19.08.2015

გაცნობის თარიღი : 20.08.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რ. ლაღიძე , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლომსაძე პ/ნ 01026000195
- შროშის ქ. #6 ბ. #1

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს MEDICOM კოდი: 404963679

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N8–ში არსებულ შენობაში ჩასასვლელი კიბის მოწყობისა და ფასადის რეკონსტრუქციის საკითხს.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N8–ში არსებულ შენობა-ნაგებობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან არ ირკვევა, გააჩნია თუ არა შენობას, რომელზეც ითხოვთ I კლასის სამუშაოების განხორციელებაზე წერილობითი თანხმობის გაცემას, კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წერილი საპროექტო შენობის სტატუსის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს კულტურის უძრავი ძეგლს, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება სარეაბილიტაციო სამუშოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადებები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი>სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სარეკონსტრუქციო შენობას არ აქვს მინიჭებული უძრავი ძეგლის სტატუსი და თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშოები განეკუთვნება პირველ კლასს, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ:

1. საკადასტრო გეგმა და გენგეგმა საკადასტრო საზღვრებისა და საპროექტო კიბის ჩვენებით;
2. კონსტრუქციული დასკვნა ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;
3. მესაკუთრეთა თანხმობები და მინდობილობა განმცხადებლის სახელზე (დამოწმებული შესაბამისი წესით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოტხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.